

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო

პროგრამა

პრაქტიკული კვლევა

სტუდენტების აკადემიური მოტივაციის ხელშეწყობა სწავლების
აქტიური მეთოდებით პროფესიულ კოლეჯში „ბარაკონი“

ჯგუფის წევრები: ელისო ხეცურია

მარიკა ბერიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

"როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

ელისო ხეცურია

მარიკა ბერიძე

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში, რომელიც ეძღვნება პროფესიულ კოლეჯ „ბარაკონში“ სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას. ნაშრომში განხილულია არაეფექტური სწავლების მეთოდებით გამოწვეული პრობლემები და ამ პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირება მოხდა პროფესიულ კოლეჯ „ბარაკონში“. თუმცა ეს პრობლემა საქართველოში არსებულ მსგავს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც აღინიშნება. პროექტის საწყის ეტაპზე იხილავთ პრობლემის იდენტიფიცირებისათვის შესრულებული სამუშაოების აღწერასა და საკვლევი საკითხის დაზუსტებას, ასევე იმ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც კვლევის პროცესში იყო გამოყენებული.

მოგეხსენებათ, რომ პრაქტიკული კვლევის მიზანს წარმოადგენს ის, რომ პრობლემა იყოს ორგანიზაციისთვის აქტუალური, აღიარებული და პრობლემის გადაჭრის შერჩეული გზების ეფექტურობა შეფასდეს. მას შემდეგ რაც ჩამოვყალიბდით თუ რა პრობლემა იყო აღნიშნული კოლეჯისათვის მნიშვნელოვანი, დავსახეთ სიტუაციის გაუმჯობესების გზები და ინტერვენციების განხორციელების მეთოდები. პროექტის ძირითად ნაწილში დაწვრილებითაა აღწერილი ის ინტერვენციები, რომლებიც შემუშავდა საკვლევი კომისიის მიერ. კვლევა თვისებრივია და შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევისთვის შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები.

კვლევის დასკვნით ეტაპზე დადასტურდა კვლევის ჰიპოთეზა, პასუხი გაეცა კვლევის კითხვებს და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა

ინტერვენციები, რის შემდეგაც შემუშავდა რეკომენდაციები. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული კვლევა გაააქტიურებს განათლების სისტემის მკვლევარებს და ცვლილებები პროფესიული განათლების სფეროში, უკვე განათლების სისტემაში დაიგეგმება.

ვფიქრობთ, პროფესიულ კოლეჯ „ბარაკონის“ მაგალითზე მიღებული შედეგების განზოგადება შესაძლებელია სხვა პროფესიულ კოლეჯებშიც, რადგან პრობლემა, რომელიც არსებულ კოლეჯში დგას სხვა პროფესიული კოლეჯებისთვისაც იდენტურია და ჩვენს მიერ დაგეგმილი ინტერვენციები ადაპტირებადი იქნება მათი სასწავლო გარემოსთვისაც. მიგვაჩნია რომ, ერთობლივი ინიციატივა როგორც ჩვენი ისე დირექციის მხრიდან ჩაგვეტარებინა პრაქტიკული კვლევა მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია აღნიშნულ კოლეჯში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მადლობა

აღნიშნული პრაქტიკული კვლევის ჩატარების დროს გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდით პროფესიულ კოლეჯ „ბარაკონის“ ადმინისტრაციას, რომლებმაც შეგვიქმნეს ხელისშემწყობი გარემო კვლევის განხორციელებისათვის.

ასევე მადლობას ვუხდით კომისიის წევრებს, პედაგოგებსა და ყველა იმ რესპოდენტს, რომლებიც გვეხმარებოდნენ სამუშაოს შესრულებაში.

პრაქტიკული კვლევის დროს განხორციელებული კონსულტაციებისა და დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს გიორგი გახელაძეს.